სსიპ კოლეჯი „მოდუსი“

პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამტკიცების, განხორციელებისა და მსმენელთა ჩარიცხვის წესი და პირობები

თავი I - ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო ზოგადი დებულებები

1. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამტკიცების, განხორციელებისა და მსმენელთა ჩარიცხვის წესი და პირობები (შემდგომში - წესი) შემუშავებულია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ N131 დადგენილების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ N71/ნ ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“ N59/ნ ბრძანების შესაბამისად და არეგულირებს სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და მსმენელთა ჩარიცხვის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიზანი

1. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიზანს წარმოადგენს ფორმალური განათლების ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის განხორციელება და სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - სერტიფიკატის გაცემა.
2. პროფესიული მომზადების პროგრამა არის პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.
3. პროფესიული გადამზადების პროგრამა - არის პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

4. კოლეჯი უფლებამოსილია განახორციელოს ის პროფესიული მომზადების პროგრამა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა, რომლის განხორციელების უფლებაც კანონდებლობით დადგენილი წესით აქვს მოპოვებული.

თავი II - პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და მასში ცვლილების შეტანის წესი

მუხლი 3. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება

1. პროგრამის შემუშავების საფუძველი შესაძლებელია იყოს:
   ა) პროფესიის სტანდარტი;
   ბ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი;
   გ) მოდული/მოდულები;
   დ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და სხვა საერთაშორისო აქტებით კონკრეტული სფეროს რეგულირებისთვის დადგენილი მოთხოვნები;
   ე) დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი ISCO-08 ან/და ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი.
2. პროგრამის შემუშავების საფუძველი ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საფუძვლების გარდა, შესაძლებელია გახდეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პროგრამის შინაარსის განსაზღვრისთვის აუცილებელ ინფორმაციას.
3. შემუშავებული პროგრამა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
4. პროგრამის განხორციელებისთვის განისაზღვრება პროგრამის განმახორციელებელი პირები, საჭირო რესურსები, პროგრამაზე მსმენელთა რაოდენობა და სხვა.
5. პროგრამის დამტკიცების შემდეგ, პროგრამის ელექტრონული განაცხადი კეთდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ელექტრონული განაცხადი, რომელზეც შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, მოიცავს:
   ა) ორგანიზაციის სახელწოდებასა და სამართლებრივ ფორმას;
   ბ) ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდს;
   გ) ორგანიზაციის მისამართსა (იურიდიული და ფაქტობრივი) და საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონი და ელ. ფოსტის მისამართი);
   დ) ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს, რომელიც განისაზღვრება ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის შესაბამისად;
   ე) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდებასა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) და პროგრამის სახეს (პროფესიული მომზადების პროგრამა ან პროფესიული გადამზადების პროგრამა);
   ვ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ ფორმას, რომელზეც შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/კვალიფიციური ელექტრონული შტამპი;
   ზ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ადგილს;
   თ) მსმენელთა რაოდენობას (მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთებით);
   ი) ინფორმაციას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსისა (განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების

დამადასტურებელი დოკუმენტი, თანამშრომლობასთან დაკავშირებით არანაკლებ პროგრამის განხორციელების ვადით გაფორმებული ხელშეკრულება/შეთანხმება) და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ;

კ) ინფორმაციას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი სასწავლო რესურსის შესახებ;

ლ) ინფორმაციას მსმენელის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგრეთვე უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემულ დასკვნას შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ან უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემულ მიწერილობას სახანძრო უსაფრთხოების დარღვევის აღმოფხვრაზე;

მ) დასაბუთებას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ;

ნ) ინფორმაციას მსმენელის შერჩევისა და პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურის შესახებ;

ო) ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ;

პ) განაცხადს უნდა დაერთოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. საფასური განისაზღვრება სამინისტროს მიერ.

ჟ) შესაბამისი სახელმწიფო დარგობრივი მარეგულირებელი უწყების/ორგანოს პოზიციას პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის თაობაზე, იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია გარკვეული რეგულაციები დარგობრივი უწყების მიერ;

რ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებულ სწავლის სფეროს ვიწრო სფეროს კოდს.

6. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ, ორგანიზაცია უფლებამოსილია 3 წლის ვადით განახორციელოს პროგრამა.

მუხლი 4. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

   ა) A სასწავლო გარემოში მსმენელთა ადგილების რაოდენობა;

   ბ) B სასწავლო გარემოში მსმენელთა ადგილების რაოდენობა;

   გ) C სასწავლო გარემოში მსმენელთა ადგილების რაოდენობა.
2. კონკრეტულ პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე გარემო გამოიყენება რამდენიმე პროგრამისთვის. ასეთ შემთხვევაში გარემოს დატვირთვის რესურსი ნაწილდება ყველა პროგრამაზე.
3. გადაწყვეტილებას მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ იღებს კოლეჯი, რომელიც აისახება შესაბამის განაცხადში.
4. გადაწყვეტილებას პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის/გაზრდის/ შემცირების შესახებ, ამ მუხლით დადგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ციფრის ფარგლებში, იღებს კოლეჯი და ასახავს შესაბამის განცხადებაში.

მუხლი 5. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების ვადაში ცვლილების შეტანის წესი

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ზრდასრულთა განათლების კოორდინატორს და/ან სხვა დაინტერესებულ პირს. ცვლილების ინიცირება შეიძლება დაეფუძნოს კვლევის სამიზნე ჯგუფებიდან მიღებულ ინფორმაციას, კვლევის შედეგებს და სხვა.
2. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, გამოიცემა დირექტორის ბრძანება პროგრამაში ცვლილების განხორციელების შესახებ.

მუხლი 6. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების ვადაში, პროგრამაში ცვლილებების შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებები

1. კოლეჯი ვალდებულია ცენტრს აცნობოს:
   ა) პროგრამის განმახორციელებელი პირის/პირების ცვლილების შესახებ და წარადგინოს მათი განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი და მათთან გაფორმებული ხელშეკრულება;
   ბ) პროგრამის სახელწოდების, მოცულობის, განხორციელების ადგილის ან სწავლის შედეგის/ შედეგების ცვლილების შესახებ და წარადგინოს განახლებული პროგრამა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების/ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, კომპანია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აცნობებს ცვლილების შესახებ მსმენელთა ახალი ნაკადის მიღების გამოცხადებამდე 30 სამუშაო დღით ადრე.

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებები

1. კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან იმ კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, რომლის ფარგლებშიც მომზადებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელებს დაასრულებინოს სწავლა. აღნიშნულ პროგრამაზე კოლეჯი ვერ მიიღებს ახალ მსმენელებს.
2. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯი პროგრამაზე შემდეგი მიღების გამოცხადებამდე უზრუნველყოფს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას. კოლეჯი უფლებამოსილია, მსმენელებს სწავლა დაასრულებინოს იმ პროგრამაზე, რომელზეც ისინი ჩაირიცხნენ, ხოლო ახალი მსმენელები მიიღოს შეცვლილ პროგრამაზე.
3. თუ კოლეჯმა დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება, უფლებამოსილია უკვე ჩარიცხულ მსმენელებს დაასრულებინოს სწავლა არსებული პროგრამით.
4. ამ მუხლით გათვალისწინებული ცვლილების/ცვლილებების შემთხვევაში, კოლეჯი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აცნობებს ცვლილების შესახებ, მსმენელთა ახალი ნაკადის მიღების გამოცხადებამდე 30 სამუშაო დღით ადრე.

თავი III - პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები

მუხლი 8. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადება

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაცია ცხადდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში – მართვის სისტემა).
2. კანონმდებლობით დადგენილი წესით, კოლეჯი უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, რომელზე რეგისტრაციასაც აცხადებს ღია ან დახურული წესით.
3. ღია წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
4. დახურული წესით რეგისტრაცია ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იურიდიულ პირს აქვს ხელშეკრულება სხვა იურიდიულ პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადება/ პროფესიული გადამზადება. დახურული წესით აპლიკანტთა შერჩევის დროს იურიდიული პირი ვალდებულია ელექტრონულ სისტემაში ატვირთოს ამ პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტი.
5. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის გამოცხადების მიზნით ელექტრონულ სისტემაში მითითებულია:

   ა) ორგანიზაციის სახელწოდება/სამართლებრივი ფორმა/საიდენტიფიკაციო კოდი;
   ბ)ორგანიზაციის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;
   გ) ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაცია (ელ-ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი);
   დ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება;
   ე) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახე (მომზადება/ გადამზადება);
   ვ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა;
   ზ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა (ასაკი, განათლება და სხვა);
   თ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მოკლე აღწერა;
   ი) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ადგილი;
   კ) ადგილების ზღვრული რაოდენობა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე;
   ლ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე (მე-2/მე-3/მე-4/მე-5);
   მ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის ფორმა;
   ნ) აპლიკანტთა რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების თარიღები (რეგისტრაციის დაწყების/ დასრულების თარიღი წინ უსწრებს სწავლის დაწყების თარიღს);
   ო) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღები;
   პ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა;

ჟ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის საფასური;
რ) ინფორმაცია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დაფინანსების შესახებ;
ს) მართვის სისტემის მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“-„მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია ავტომატურად გენერირდება ელექტრონულ სისტემაში კომპანიის მიერ პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადებისას. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ნ“-„ს“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონულ სისტემაში შეყვანას უზრუნველყოფს კომპანია.
7. კოლეჯი უფლებამოსილია, ელექტრონულ სისტემაში მის მიერ ასახული ინფორმაცია, შეცვალოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღით ადრე. ცვლილების შესახებ აპლიკანტს ეცნობება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

მუხლი 9. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. სისტემა უზრუნველყოფს ამ წესის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, ხოლო დახურული წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ამ წესის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ამ წესის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ პირთათვის.
2. აპლიკანტი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციისთვის გადის ავტორიზაციას სპეციალურ ვებგვერდზე და რეგისტრირდება ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს კოლეჯს, რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული სისტემის გამოყენებით. რეგისტრაციის დახურული წესით გამოცხადების შემთხვევაში, აპლიკანტთა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას ახორციელებს კოლეჯის ელექტრონული სისტემის გამოყენებით.
3. აპლიკანტს ან კოლეჯს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის დროს ელექტრონულ სისტემაში შეაქვს შემდეგი მონაცემები:

   ა) აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი;
   ბ) აპლიკანტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
   გ) ფაქტობრივი მისამართი/რეგისტრაციის მისამართი;
   დ) ინფორმაცია აპლიკანტის განათლების შესახებ;
   ე) მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, დევნილის ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
   ვ) ინფორმაცია ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ.

4. აპლიკანტის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დასტურდება მის ელექტრონულ ფოსტაზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით.
5. ელექტრონულ სისტემაში ავტორიზაციის გავლის შემდეგ აპლიკანტი ირჩევს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას/პროგრამებს.
6. აპლიკანტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაცია.

მუხლი 10. აპლიკანტთა შერჩევა

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება კოლეჯის მიერ დადგენილი წესით. კოლეჯი შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, აპლიკანტს აწვდის ინფორმაციას შერჩევის პროცედურის შესახებ.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროცედურების შესახებ აპლიკანტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ახორციელებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი (ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი).
3. აპლიკანტის შერჩევა ხორციელდება პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შემოწმების მიზნით და ის მოიცავს:
   3.1. პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში - აპლიკანტის მიერ რეგისტრაციისას წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე წინმსწრები განათლების შესაბამისობის შემოწმებას;
   3.2. პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში - აპლიკანტის მიერ რეგისტრაციისას წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე აპლიკანტის ასაკის შემოწმებას;
   3.3. პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში - პროგრამაზე დაშვების სხვა წინაპირობის შემოწმებას;
   3.4. პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში - გასაუბრებას.
4. პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამებზე აპლიკანტებთან გასაუბრება ხორციელდება ამ წესის N1 დანართით გაწერილი მოტივაციური ინტერვიუს კითხვების მეშვეობით.
5. მაქსიმალური საკონკურსო ქულაა - 18 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 6 ქულა.
6. საკონკურსო კომისია და კონკურსის ჩატარების თარიღი განისაზღვრება კომპანიის დირექტორის ბრძანებით.
7. გასაუბრება ტარდება კოლეჯში, საამისოდ გამოყოფილ გარემოში ან სხვა ალტერნატიულ ფართში/კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, კოლეჯისა და არსებობის შემთხვევაში - სხვა დაინტერესებული პირების/პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით.
8. შერჩევის პროცედურის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯი, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭებას.

მუხლი 11. საკონკურსო კომისია

1. საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრები.
2. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდნენ:
   ა) კოლეჯის წარმომადგენლები;
   ბ) კომპანიის წარმომადგენლები პარტნიორი ორგანიზაციიდან.
3. თუ პროგრამა ხორციელდება პარტნიორ კომპანიასთან/კომპანიებთან ერთად კომისიის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდეს კომპანი(ებ)ის მინიმუმ ერთი წარმომადგენელი.
4. კომისიის მიერ აპლიკანტთა შეფასება და შედეგების ასახვა ხდება ამ წესის დანართი N2-ით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

5. კომისიის მიერ ხდება კონკურსის შედეგების შეჯამება, კვოტის ფარგლებში შერჩეული აპლიკანტების გამოვლენა და შესაბამის კომისიის სხდომის ოქმში ასახვა, რომელსაც თან ერთვის აპლიკანტების შეფასების ფორმა/ფურცელი.
6. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
7. კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 12. კონკურსში მონაწილე აპლიკანტთა უფლება-მოვალეობები და კომპანიის ვალდებულებები

1. აპლიკანტი უფლებამოსილია იცნობდეს კომისიის მიერ მისი შეფასების წესსა და შეფასების კრიტერიუმებს.
2. კონკურსში მონაწილე აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს გასაუბრებაზე და თან იქონის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში, სხვა დამატებითი დოკუმენტები).

მუხლი 13. კომპანიის მიერ ორგანიზებული კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი

1. კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, აპლიკანტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა.
2. კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იქმნება საპრეტენზიო კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.
3. საპრეტენზიო კომისიის მიერ, კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით წარდგენილი განცხადება, განხილული უნდა იქნას კომისიის შექმნიდან არაუგვიანეს 1 დღის ვადაში.
4. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს კომისიის ის წევრი, რომელიც მონაწილეობას იღებდა აპლიკანტის გასაუბრების პროცესში.

მუხლი 14. მსმენელის სტატუსის მოპოვება

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტებია:
   ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;
   ბ) აპლიკანტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან პასპორტის ასლი;
   ბ[1]) არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის/წარმომადგენლის სათანადო უფლებამოსილებას (დაბადების მოწმობა ან მშობლის მიერ გაცემული მინდობილობა ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა);
   დ) პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების შესაბამისად - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   დ[1]) პირმა, რომელმაც განათლება მიიღო უცხოეთში, რის საფუძველზეც ხდება ჩარიცხვა პროგრამაზე - უნდა წარმოადგინოს განათლების აღიარების დოკუმენტი;

დ[2]) პირმა, რომელმაც განათლება მიიღო ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რის საფუძველზეც ხდება ჩარიცხვა პროგრამაზე - უნდა წარმოადგინოს განათლების აღიარების დოკუმენტი;
ე) არსებობის შემთხვევაში, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაში გათვალისწინებული წინაპირობით განსაზღვრული სხვა დამატებით დოკუმენტი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისიწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს ჩარიცხვის უფლების მქონე პირისთვის მსმენელის სტატუსის მინიჭებას, რაც დასტურდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. ინფორმაცია მსმენელის სტატუსის მინიჭების შესახებ ელექტრონულ სისტემაში აისახება შესაბამის პროფესიულ მომზადების/პროფესიულ გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე.
3. ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯი უფლებამოსილია დაუკავშირდეს იმ აპლიკანტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა სიაში. კოლეჯი ვალდებულია ამ კატეგორიის პირთათვის მსმენელის სტატუტის მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება და ელექტრონულ სისტემაში ასახვა უზრუნველყოს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 15. მსმენელის პირადი საქმე

1. მსმენელის პირადი საქმე მოიცავს:
   ა) ჩარიცხვისას წარსადგენილ ყველა დოკუმენტს;
   ბ) ხელშეკრულებას;
   გ) კოლეჯის მიერ მსმენელზე გაცემული სერტიფიკატის ასლებს;
   დ) სხვა დოკუმენტს ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით.
2. მსმენელის პირად საქმეს აწარმოებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი (ზრდასრულტა განათლების კოორდინატორი).
3. მსმენელის პირადი საქმის შენახვისა და განკარგვის პირობები განისაზღვრება კოლეჯის მიერ.

მუხლი 16. მსმენელის სტატუსის შეწყვეტა

1. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:
   ა) მსმენელის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
   ბ) პროგრამის დასრულება;
   გ) იმ ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის გაყალბება, რაც საფუძვლად დაედო მსმენელის სტატუსის მოპოვებას;
   დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
   ე) მსმენელის მიერ, პროგრამით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის 30%-ზე მეტის გაცდენა;
   ვ) მსმენელის მიერ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის აუთვისებლობა/განმსაზღვრელ შეფასებებზე გამოუცხადებლობა პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ან სწავლის შედეგის არდადასტურება განმეორებითი შეფასებისას;
   ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.
2. მსმენელთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მას უწყდება მსმენელის სტატუსი, რაც კოლეჯის მიერ აისახება ელექტრონულ სისტემაში 3 სამუშაო დღის ვადაში.
3. სტატუსშეწყვეტილმა პირმა, სურვილის შემთხვევაში პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა უნდა გაიაროს თავიდან.

4. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, გამოიცემა კომპანიის დირექტორის ბრძანება და მონაცემები აისახება მართვის სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IV - დასკვნითი დებულებები

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესში ცვლილება ხორციელდება საჭიროების შემთხვევაში (არსებულ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის შემთხვევაში ან/და სხვა გარემოებისას).
2. პროფესიული მომზადების პროგრამასა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის წესი და პირობები, ან ინფორმაცია მასში ცვლილებების შეტანის შესახებ ქვეყნდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
3. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამტკიცების, განხორციელებისა და მსმენელთა ჩარიცხვის წესი და პირობები ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.